პოლიტიკის დოკუმენტი სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში

ჩვენი მისიაა სამთო მოპოვებითი საქმიანობის განხორციელება, რითაც ხელს შევუწყობთ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ჩვენი ხედვაა - უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დახმარებით, სოციალური პასუხისმგებლობის აღებით და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვით ჩვენს მიერ მოპოვებული ბუნებრივი რესურსები გამოყენებული იქნეს ქვეყნის წარმატებისა და მდგრადი განვითარებისათვის.

ჩვენი მიზანია ოპერირების ინოვაციური გზების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. ჩვენი ორგანიზაციის პრიორიტეტული მიზანია კომპანიაში დასაქმებული პერსონალისთვის შექმნას ჯანმრთელი და უსაფრთხო სამუშაო გარემო. ორგანიზაციის მმართველი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობას იღებს, რომ მუდმივად აამაღლებს საერთაშორისო პარტნიორების ნდობას ორგანიზაციის მიმართ, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით მუდმივად გაუმჯობესებს OH&S-ის სისტემას და მისი ფუნქციონირების ეფექტურობას, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს საწარმოო რისკების, საწარმოო ტრამვების და ინციდენტების შემცირებისათვის.

მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები OH&S-ის სფეროში

ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებია: დანერგილი და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებული OH&S- ის ეფექტურობის და შედეგიანობის შეფასება და მუდმივი გაუმჯობესება; სტრატეგიის და მიზნების სწორი დაგეგმვა; პერსონალის, კლიენტის, კონტრაქტორის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების მიმართ სისტემური მიდგომა; რისკების დაგეგმვა და საგანგებო კრიზისული სიტუაციების ეფექტურად მართვა საწარმოო ტრავმების მინიმიზაციის მიზნით. პოლიტიკის განხორციელებისათვის ორგანიზაციას დასახული აქვს შემდეგი **მიზნები**:

- შეფასებული მაღალი დონის რისკების შემცირების დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საწარმოო ინციდენტების და „near miss“-ის მინიმუმამდე შემცირების მიზნით;
- პროცესების გაუმჯობესება, OH&S-ის აუდიტების/ინსპექტირების შედეგების/შეუსაბამობების სწორი მართვით;
- პერსონალის კომპეტენტურობის და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება, შიდა კომუნიკაციებისა და პერსონალთან კონსულტაციების გაუჯობესება;
- OH&S-ის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;